საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5117/01
05/06/2020

5117-01-2-202006051437

შპს „ბილჯ ვოტერს“
მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N70, ბ.86

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 25 მაისის N774 განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭალადიდში, არსებულ N7 ჭაბურღილში სახიფათო თხევადი ნარჩენების პირდაპირი ან/და წინასწარი დამუშავების შემდეგ განთავსების პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 31 მაისს შპს „ბილჯ ვოტერმა“ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა ხობის მუნიციპალიტეტში, ჭალადიდის თემის სოფ. საბაჟოში, არსებულ N7 ჭაბურღილში თხევადი სახიფათო ნარჩენების (ნავთობშემცველი ლიალური წყლები, ნახშირწყალბადების შემცველი ნარევი, ტექნიკური წყლები, ბალასტური წყლები და იზოლირებული ბალასტური წყლები) განთავსების ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, რაზეც სამინისტროს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზის პროცედურის განხორციელებისა და ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე გაიცა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება N7 (28.07.2017) **მხოლოდ ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსებაზე** (ბრძანება No-573; 31/07/2017). „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში სრულად შესრულების შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ აქტს გამოსცემს „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ იმავე ტერიტორიაზე, შპს „ბილჯ ვოტერი“ ფლობს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სამინისტროს შესაბამისი დოკუმენტაციით მიმართოს არა სკოპინგის დასკვნის, არამედ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მინისტრის 2017 წლის 31 ივლისის №-573 ბრძანებით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. თუმცა, აღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა მხოლოდ **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის** ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და **არა საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის** ექსპლუატაციის პირობების ცვლილება. შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, შესაძლებელია საქმიანობის განმახორციელებელმა წარმოადგინოს დოკუმენტაცია დაგეგმილი ცვლილებების შესახებ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილი წესით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სახიფათო ნარჩენების განთავსება წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის, მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და არა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის, 10.2 (ნარჩენების განთავსება) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, როგორც ეს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშშია მითითებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შპს ,,ბილჯ ვოტერის” მიერ წარმოდგენილ სახიფათო თხევადი ნარჩენების პირდაპირი ან/და წინასწარი დამუშავების შემდეგ განთავსების პროექტის სკოპინგის დოკუმენტაციაზე.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე